ბრძანება:**ბ34.34213439**
თარიღი:**09/12/2021**

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, პირის მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ[1]“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30[2] მუხლის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის #725 ბრძანებით დამტკიცებული, „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 08 დეკემბრის #35-352134210 წერილის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეიქმნას, „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, პირის მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

ა)კომისიის თავმჯდომარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, თამაზ ფოლოდაშვილი;

ბ)კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ელოშვილი;

გ)კომისიის მდივანი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგი მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თამუნა კიკილაშვილი. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს: კომისიის საქმისწარმოებას, კომისიის სხდომის ოქმის შედგენას და კომისიის თავმჯდომარის ცალკეული დავალებების შესრულებას. კომისიის მდივანს აქვს კომისიის წევრის სტატუსი და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დ)მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გელა ბაქრაძე - კომისიის წევრი;

ე)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ანა მამაგეიშვილი - კომისიის წევრი.

2.კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, პირის მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის

დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 17 ივნისის #ბ34.34211682 ბრძანება.

4.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დიმიტრი ზურაბიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი